განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-33, წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ჯგუფი ევროპაბეთი
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		**83**	**15,709**	**1,056**	**16,848**
წლის მოგება		-	36,663	-	**36,663**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	**-**
მთლიანი სრული შემოსავალი 2023 წელს		**-**	**36,663**	**-**	**36,663**
გამოცხადებული დივიდენდები	12	-	(46,697)	-	**(46,697)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		**83**	**5,675**	**1,056**	**6,814**
წლის მოგება		-	39,119	-	**39,119**
წლის სხვა სრული შემოსავალი	12,20	-	-	(1,056)	**(1,056)**
მთლიანი სრული შემოსავალი 2024 წელს		**-**	**39,119**	**(1,056)**	**38,063**
გამოცხადებული დივიდენდები	12	-	(24,022)	-	**(24,022)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**83**	**20,772**	**-**	**20,855**

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		189,332	164,650
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(50,753)	(56,433)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(24,544)	(22,019)
გადახდილი გადასახადები, ლიცენზიების საფასური და მოსაკრებლები		(37,870)	(20,420)
გადახდილი სათამაშო გადასახადი კაზინოს თამაშებზე		(27,121)	(17,877)
გადახდილი სათამაშო გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე		(14,279)	(11,994)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(1,013)
პროცენტის დაფარვა	14	(587)	(378)
მიღებული პროცენტი		1,283	1,422
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, განგრძობითი ოპერაციებიდან		**35,461**	**35,938**
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	(35)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**35,461**	**35,903**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(437)	(623)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა		394	223
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები განგრძობითი ოპერაციებიდან		**(43)**	**(400)**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(43)**	**(400)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	12	(24,022)	(46,697)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა-ძირითადი თანხა	14	(2,947)	(1,838)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები განგრძობითი ოპერაციებიდან		**(26,969)**	**(48,535)**
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(26,969)**	**(48,535)**
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		51	(146)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	**9,374**	**22,552**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	**17,874**	**9,374**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-33, წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის“ შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების გათვალისწინებით, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს ევროპაბეთისთვის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“, „ჯგუფი ევროპაბეთი“). შპს ევროპაბეთმა, რომელიც მანამდე ცნობილი იყო, როგორც შპს ჩემპიონები 111, 2024 წლის თებერვალში შეიცვალა სახელი.

კომპანია დაარსდა 2009 წლის 18 ნოემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 240420647.

კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია არის Betsson Perch Investments AB - რომლის საბოლოო მაკონტროლებელია Betsson AB. კომპანიის უშუალო მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფასს-ის შესაბამისად და ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

კომპანია წარმოადგენს მშობელ კომპანიას შემდეგისთვის: შპს „ვიპ ბეთი“ და შპს „საქომაგო“ (წარსულში ცნობილი როგორც შპს „ევროპაბეთი“)-შეზღუდული პასუხისმგებლობის ქართული კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ აზარტული თამაშების ინდუსტრიაში. 2024 წლის აპრილში, შპს „ევროპაბეთ გორი“, შპს „ევროპაბეთ რუსთავი“ და შპს “ევროპაბეთ საქომაგო“ რესტრუქტურიზაციის პროცესის შედეგად, შერწყმის გზით გაერთიანდა და გახდა შპს „საქომაგო“. 2024 წლის ოქტომბერში, კომპანიამ გაყიდა მისი შვილობილი საწარმო, ბელარუსში რეგისტრირებული კომპანია შპს „ნევაფლეი“ (შენიშვნა 20).

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა ონლაინ ფსონები და ონლაინ აზარტული ოპერაციები, რომლებიც გვთავაზობს შემდეგ პროდუქტებს: ონლაინ ტოტალიზატორს, ონლაინ კაზინოს, სლოტ თამაშებს, პოკერს და თანაბარუფლებიან თამაშებს (“P2P”) საქართველოში. ჯგუფი ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტებს გვთავაზობს საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით: www.europebet.com. ჯგუფი ასევე ამუშავებს ერთ არავირტუალურ ფსონების პუნქტსა და სლოტ კლუბს. კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წელს იყო 249 (2023: 303).

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი 0171, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი #2, რაც, ასევე, წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ძირითად ადგილს.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("ლარში"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები. რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

აზარტული თამაშების ინდუსტრია რეგულირდება „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2023 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ინიციატივა აზარტული თამაშების ინდუსტრიაზე გადასახადების გაზრდის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებები მოიცავს:

- ონლაინ კაზინოს გადასახადის გაზრდას GGR-ზე (მთლიანსათამაშო შემოსავალზე) 10%-დან 15%-მდე
- მოთამაშეების მიერ განხორციელებულ თანხების გატანაზე დაკავებული გადასახადის 2%-დან 5%-მდე გაზრდას (გადასახადები წარმოადგენს მოთამაშეების ტვირთს).

რუსეთის სამხედრო თავდასხმა უკრაინაზე. უკრაინაში ომი, რომელიც 2022 წლის თებერვალში დაიწყო, მოსალოდნელია, რომ ყოვლისმომცველ გავლენას მოახდენს გლობალურ ეკონომიკაზე მზარდი სასაქონლო ფასების, ნავთობის/გაზის/ქვანახშირის შესაძლო დეფიციტის, საქმიანობის შეფერხებების და ა.შ. გამო. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების თარიღისთვის, ომის პირდაპირი გავლენა ჯგუფის საოპერაციო შედეგებზე არსებითი არ არის.

შპს ნევაფლეი. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის და რუსეთისა და ბელარუსის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესების გათვალისწინებით, ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ინვესტიციის მიმღების ლიკვიდაციის და ნევაფლეიში მისი ინვესტიციის ჩამოწერის შესახებ. 2022 წლის პირველ კვარტალში შპს ნევაფლეიმ შეწყვიტა აზარტული თამაშების აქტივობიდან შემოსავლის გამომუშავება, გააუქმა აზარტული თამაშების ლიცენზია და 2022 წლის მარტში გადავიდა სპეციალური საგადასახადო რეჟიმიდან სტანდარტულზე. ნევაფლეიში ინვესტიციის გაყიდვის პროცესი დასრულდა 2024 წლის 3 ოქტომბერს (შენიშვნა 20).

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ბიზნეს სექტორზე და ზოგადად ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მათ ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით, როგორც ეს მოდიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებით, ასევე სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვითა და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით კატეგორიზებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით, ასევე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ყველა შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომელიც მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (შეძენის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდაცია წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან. ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის ოდენობის მიუხედავად.

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულების, არასაკონტროლო წილის და შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „იაფად შეძენა“) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს.

სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული ან მასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში კონვერტირდება ტრანზაქციის თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის სამუშაო ვალუტაში კონვერტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. ოპერაციის ანგარიშსწორებიდან და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად მიღებული სავალუტო შემოსულობა და ზარალი ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით, რომელიც მოქმედია საბალანსო უწყისის თარიღისთვის, აღიარებულია წმინდა ფინანსურ შემოსავალში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოური ვალუტის ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი იყო 1 ევრო = 2.9306 ლარი (2023: 1 ევრო = 2.9753 ლარი; შემოსავლებისა და ხარჯების კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალო გაცვლითი კურსი იყო 1 ევრო = 2.9440 ლარი (2023: 1 ევრო = 2.8416 ლარი;).

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის დასტური, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 8-ში.

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა–შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 9-ში.

საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 9-ში.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ მოუხდენია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფზე:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: საიჯარო ვალდებულებები გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.).

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მომწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს).

ამ შესწორებების გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს, ან შემდეგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფს მანამდე არ გამოუყენებია.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს, ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულებების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს).

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

ფასს-ის სააღრიცხვო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ფასს 9-სა და ფასს 7-ში შეტანილ ცვლილებებს (გამოცემულია 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2024 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	შენიშვნა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	-	1,469
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	(1,448)	-

2023 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	შენიშვნა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	-	1,261
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	7,14	(11,761)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	(676)	-

ინვესტიციის მიმღები საწარმოს გაყიდვამდე, გრძელვადიანი ნასესხები სახსრები წარმოადგენდა სესხს, რომელიც შპს ნევაფლეიმ მიიღო Finansson Euro AB Sweden-ისგან, რომელიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოა (შენიშვნა 14), 2022 წლის 21 იანვარს ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. ნასესხებ სახსრებს გააჩნია ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი 6% და დაფარვის ვადა თავდაპირველად ეწურებოდა 2024 წლის 31 დეკემბერს. ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობის ნაწილი, რომელიც უტოლდებოდა 1,200 ათას ევროს (4,234 ათასი ლარი) მიღებული იყო ფულადი სახსრების სახით, ხოლო დარჩენილი ნაშთი 2,387 ათასი ევროს ოდენობით (8,506 ათასი ლარი) ვალდებულებების ანგარიშებიდან, რომელიც წარმოიშვა კომპანიის საწესდებო კაპიტალის შემცირებით, კონვერტირდა ნასესხებ სახსრებში (შენიშვნა. 12), 2022 წლის 24 მარტს ხელმოწერილ აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე. 2024 წლის ოქტომბერში დასრულებული საკუთრების გადაცემის ფარგლებში, ნასესხები სახსრების დაუფარავი ნაშთი ჩამოიწერა და ვალდებულებას, შესაბამისად, შეუწყდა აღიარება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (შენიშვნა 14).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს გადასახდელ თანხებს თამაშის მომწოდებელ დაკავშირებულ მხარე კომპანიისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სხვა დაკავშირებული მხარეებისგან სრულად მიეკუთვნება ნეოლეთს, კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს გადახდის სისტემის მომსახურებას ექსკლუზიურად ჯგუფის მოთამაშეებისთვის.

დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები იყო შემდეგი:

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ათასი ლარი	შენიშვნა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	მთავარი ხელმძღვანელი პირები
თამაშთან დაკავშირებული მომსახურებები	16	4,547	3,045	-
საპროცენტო ხარჯი	14	612	-	-
თანამშრომელთა ხელფასებისა და სარგებლის ხარჯი		-	-	4,218

დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	შენიშვნა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	მთავარი ხელმძღვანელი პირები
თამაშთან დაკავშირებული მომსახურებები	16	2,992	2,496	-
საპროცენტო ხარჯი	14	484	-	-
თანამშრომელთა ხელფასებისა და სარგებლის ხარჯი		-	-	3,744

თამაშთან დაკავშირებული მომსახურებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მოიცავს თამაშების მომწოდებლების ლიცენზიის საფასურს.

თამაშთან დაკავშირებული მომსახურებები დაკავშირებული მხარეებისგან მთლიანად მიკუთვნებადია ნეოლეთისთვის, რომელიც ჯგუფისთვის გადახდის სისტემის მომწოდებელია.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება, შედგება ხელფასებისა და პრემიებისგან. მთავარი ხელმძღვანელი პირები მოიცავს შემდეგ პოზიციებს: აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი, კომერციული დირექტორი, ოპერაციული საკითხების დირექტორი, ტექნოლოგიური საკითხების დირექტორი, იურიდიული დირექტორი და ადამიანური რესურსების მართვის დირექტორი.

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთის თანხა.

ცვეთა. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
აღჭურვილობა და ხელსაწყოები	1-3 წელი
უძრავი ინვენტარი და აპარატურა	7 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-5 წელი
ავტომობილები	5 წელი
საიჯარო გაუმჯობესებები	სასარგებლო მომსახურების ვადასა (5-7 წელი)და იჯარის ვადას შორის უმოკლესი

500 ევრომდე დაბალღირებულებიანი მუხლების შესყიდვები სრულად აისახება ხარჯად უშუალოდ შეძენისას. ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები განიხილება ყოველ საანგარიშგებო თარიღზე და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

ყველა იმ აქტივის ნარჩენი ღირებულება, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც ძირითადი საშუალებები, არის ნულის ტოლი.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს აფასებს შემდეგი ძირითადი ფაქტორების მიხედვით: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 287 ათასი ლარით ან მისი შემცირება 398 ათასი ლარით (2023 წ. გაზრდა 302 ათასი ლარით, ან შემცირება 293 ათასი ლარით).

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	საოჯახო გაუმჯობესებები	აღჭურვილობა და ხელსაწყოები	უძრავი ინვენტარი და აპარატურა	საოფისე აღჭურვილობა	ავტომობილები	CIP*	სულ
ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	2,550	11,477	686	22,030	-	498	37,241
დაგროვილი ცვეთა	(1,685)	(9,798)	(424)	(15,200)	-	-	(27,107)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	**865**	**1,679**	**262**	**6,830**	**-**	**498**	**10,134**
დამატებები	76	534	-	1,903	-	3,536	6,049
ტრანსფერები	-	-	63	1,590	-	(1,653)	-
გასვლები	(383)	(1,480)	1	(869)	-	(6)	(2,737)
ცვეთის დარიცხვა	(261)	(559)	(85)	(2,628)	-	-	(3,533)
დაგროვილი ცვეთა გასვლისას	114	1,156	-	445	-	-	1,715
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	2,243	10,531	750	24,654	-	2,375	40,553
დაგროვილი ცვეთა	(1,832)	(9,201)	(509)	(17,383)	-	-	(28,925)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**411**	**1,330**	**241**	**7,271**	**-**	**2,375**	**11,628**
დამატებები	56	674	146	268	114	747	2,005
ტრანსფერები	1,049	260	1	119	-	(1,429)	-
გასვლები	(1,701)	(2,900)	(210)	(1,617)	-	(1,321)	(7,749)
ცვეთის დარიცხვა	(262)	(588)	(81)	(2,393)	-	-	(3,324)
დაგროვილი ცვეთა გასვლისას	1,371	2,482	113	1,581	-	-	5,547
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	1,647	8,565	687	23,424	114	372	34,809
დაგროვილი ცვეთა	(723)	(7,307)	(477)	(18,195)	-	-	(26,702)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**924**	**1,258**	**210**	**5,229**	**114**	**372**	**8,107**

**CIP- მოიცავს დაუმთავრებელ მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს*

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების ღირებულებაში შედის ჯერ კიდევ გამოყენებაში არსებული სრულად გაცვეთილი აქტივები, 15,042 ათასი ლარის და 16,326 ათასი ლარის საღირიცხვო ღირებულებით, შესაბამისად.

9 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

აქტივების გამოყენების უფლება. ჯგუფი იჯარით იღებს სხვადასხვა საოფისე ფართებს. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება 3-7 წლის ფიქსირებულ პერიოდზე, თუმცა შეიძლება გააჩნდეს გაგრძელების ოფციონი, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ასევე არასაიჯარო კომპონენტებს. თუმცა, ჯგუფმა აირჩია არ გაემიჯნა საიჯარო და არსაიჯარო კომპონენტები და სანაცვლოდ, აღრიცხავს მათ, როგორც იჯარის ერთ კომპონენტს.

აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას,
- ნებისმიერ იჯარის გადახდას, რომელიც განხორციელდა დაწყების თარიღამდე შემცირებული ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდებით,
- ყველა თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- აქტივის იჯარის შეთანხმების მოთხოვნის შესაბამის მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯებს.

აქტივების გამოყენების უფლება საერთოდ გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად დღევანდელი ღირებულების საფუძველზე შეფასდება. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები მოიცავს შემდეგი იჯარის გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნებით,
- იჯარის ცვლადი გადახდები, რომლებიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს, თავდაპირველად შეფასებულია ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით, დაწყების თარიღის მდგომარეობით,
- თანხები, რომლების მიღებასაც ჯგუფი მოელის ნარჩენი ღირებულების გარანტიით,
- შესყიდვის ოფციონის გამოყენების ფასი თუ ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია ამ ოფციონის გამოყენებაში, და
- იჯარის შეწყვეტის ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის პირობები ასახავს ჯგუფის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას.

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შეყვანილია მთელ რიგ ძირითადი საშუალებების იჯარებში ჯგუფის შიგნით. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონების უმეტესობით სარგებლობის უფლება მხოლოდ ჯგუფს აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის შემდგომი პერიოდის ოფციონი) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების ოფციონთან ერთად, რაც ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

9 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, ჯგუფი:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს ჯგუფის მიერ მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს, რომელიც კორექტირებულია დაფინანსების პირობებში ცვლილებების ასასახად, ვინაიდან მიღებულია დაფინანსება მესამე მხარისგან,
- იყენებს შენების (build-up) მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტირებებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

ჯგუფი ექვემდებარება იჯარის ცვლადი გადახდების სამომავლო პოტენციურ ზრდას ინდექსზე ან განაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც არ არის შეყვანილი საიჯარო ვალდებულებაში, სანამ ისინი არ შევა ძალაში. როდესაც ინდექსზე ან განაკვეთზე დაფუძნებული იჯარის გადახდების კორექტირებები ძალაში შევა, საიჯარო ვალდებულება გადაფასდება და დაკორექტირდება აქტივის გამოყენების უფლების საპირისპიროდ.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება აღჭურვილობის და ავტომობილების მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან, აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლების ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება.

იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

იჯარით აღებული ოფისებისთვის, ტიპიურად, ყველაზე შესაბამისი შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტაზე (არ გაგრძელებაზე), ჩვეულებრივ, კომპანიას აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (არ შეწყვეტაზე).
- თუ მოსალოდნელია, რომ რომელიმე საიჯარო გაუმჯობესებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, ჩვეულებრივ, კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე).

სხვაგვარად, ჯგუფი ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს და იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად გაწეულ ხარჯებს. ოფისების იჯარის გაგრძელების ვარიანტების უმეტესობა არ არის ჩართული საიჯარო ვალდებულებებში, რადგან ჯგუფს შეუძლია შეცვალოს აქტივები მნიშვნელოვანი ხარჯების ან ბიზნესის შეფერხების გარეშე.

9 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს დისკონტების განაკვეთის გამოსათვლელად, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის ადვილად განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.

ჯგუფის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოიჯარეს მოუწევდა გადაეხადა მსგავსი ვადით და მსგავსი უზრუნველყოფით რომ აეღო სესხი თანხაზე, რომლებიც აუცილებელია აქტივის გამოყენების უფლების შესაბამისი ღირებულების აქტივის მისაღებად მსგავს ეკონომიკურ გარემოში.

ზღვრული სასესხო განაკვეთი განისაზღვრა 7.5% - დოლარში დენომინირებული საიჯარო ხელშეკრულებებისთვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დისკონტირების განაკვეთის 10%-ით ზრდა ან შემცირება გამოიწვევდა საიჯარო ვალდებულებების შემცირებას ან ზრდას 124 ათასი ლარით და 124 ათასი ლარით, შესაბამისად (2023 წელი: 13 ათასი ლარი და 13 ათასი ლარი).

ჯგუფმა აქტივების გამოყენების უფლება აღიარა შემდეგნაირად:

ათასი ლარი	**შენობა-ნაგებობები**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	**6,902**
დამატებები	258
გასვლები	(346)
ცვეთის დარიცხვა	(2,158)
მოდიფიკაცია	(2,668)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**1,988**
დამატებები	11,172
გასვლები	(1,148)
ცვეთის დარიცხვა	(2,247)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**9,765**

ჯგუფმა საიჯარო ვალდებულებები აღიარა შემდეგნაირად:

ათასი ლარი	**2024 წლის 31 დეკემბერი**	**2023 წლის 31 დეკემბერი**
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	2,343	1,175
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	7,350	793
სულ საიჯარო ვალდებულებები	**9,693**	**1,968**

2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეწყვიტა ზუგდიდის ფილიალის საიჯარო ხელშეკრულება და იჯარით აიღო ახალი ფართი წყალტუბოში, რის შედეგადაც მან აღიარა საიჯარო ვალდებულება და შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლება 258 ათასი ლარის ოდენობით და აღიარება შეუწყვიტა საიჯარო ვალდებულებას 365 ათასი ლარის ოდენობით, ასევე შესაბამისი აქტივების გამოყენების უფლებას 346 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 14).

9 აქტივების გამოყენების უფლება და იჯარის ვალდებულებები (გაგრძელება)

2023 წელს შეიცვალა კომპანიის სათაო ოფისთან დაკავშირებით იჯარის ხელშეკრულების პირობები, რათა ასახული იყოს სახელშეკრულებო იჯარის ვადის შემცირება. ცვლილებამ გამოიწვია საიჯარო ვალდებულების შემცირება 2,327 ათასი ლარის ოდენობით და აქტივის გამოყენების უფლების შემცირება 2,668 ათასი ლარის ოდენობით, ამ მოდიფიკაციის წმინდა ეფექტი აისახა კომპანიის მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2023 წლის განმავლობაში.

2024 წელს ჯგუფმა გააფორმა ორი ახალი საიჯარო ხელშეკრულება: ერთი სათაო ოფისისთვის და მეორე მარკეტინგის საქმიანობისთვის. ამ ხელშეკრულებების შედეგად, კომპანიამ აღიარა საიჯარო ვალდებულება და შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლება 11,172 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 14).

2024 წლის საფინანსო ხარჯებში შეტანილი საპროცენტო ხარჯი იყო 587 ათასი ლარი (2023: 378 ათასი ლარი).

2024 წელს იჯარისთვის ფულადი სახსრების მთლიანმა გადინებამ შეადგინა 3,534 ათასი ლარი (2023: 2,216 ათასი ლარი).

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით.

ფინანსური წარმოებულები - სათამაშო ხელშეკრულებები (ტოტალიზატორის ფსონები). სათამაშო ხელშეკრულებები ითვლება ფინანსურ წარმოებულებად ფასს 9-ის მიხედვით, თუ ტრანზაქციაში სათამაშო დაწესებულება იკავებს პოზიციას თავისი მომხმარებლების წინააღმდეგ. ინდივიდუალური ხელშეკრულების ღირებულება დამოკიდებულია განსაზღვრული მოვლენის შედეგზე და, შესაბამისად, სათამაშო დაწესებულებას არ აქვს გარანტირებული კონკრეტული საკომისიო ან უკუგება. ხელშეკრულებები წარმოადგენს ფინანსურ წარმოებულებს და არა სადაზღვევო ხელშეკრულებებს, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ცვლადი სპეციფიკურია ხელშეკრულების მხარისთვის. დაზღვევის განმარტება მოითხოვს მანამდე არსებულ რისკზე დაქვემდებარებას, რომელიც არსებობდა ხელშეკრულების დადებამდე, რაც არ არის დაკმაყოფილებული სათამაშო ფსონების შემთხვევაში.

ჩართული წარმოებულები ჰიბრიდულ ხელშეკრულებაში ისეთ მასპინძელთან, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, არ არის გამოყოფილი ძირითადი ხელშეკრულებისგან. სამაგიეროდ, ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი მთლიანობაში ფასდება კლასიფიკაციისთვის.

ფინანსური აქტივი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, თუ ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდას. ასეთი ჰიბრიდული ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, მაშინ, როდესაც ისინი მოხდება.

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი პერსპექტიულ საფუძველზე, ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება, როგორც მოთხოვნების მიმდინარე ოდენობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაგადაცილების დღეებში, გამრავლებული მოსალოდნელი ზარალის განაკვეთზე ბოლო 12 თვის განმავლობაში გადახდის პროფილების საფუძველზე და ამ პერიოდში განცდილი შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის მიხედვით. ისტორიული ზარალის კოეფიციენტები მორგებულია მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვის მიზნით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია წამყვან რეიტინგულ ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებსაც ითვლება, რომ გააჩნიათ საინვესტიციო დონის რეიტინგი, ამიტომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ განიხილება „დაბალი საკრედიტო რისკის“ გამონაკლისის გამო და მაშინ, როდესაც მხარეები აგრძელებენ საინვესტიციო დონის რეიტინგის ფლობას. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ასევე ექვემდებარება ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნებს, გამოვლენილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იყო არსებითი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ათასი ლარი	**2024 წლის 31 დეკემბერი**	**2023 წლის 31 დეკემბერი**
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების მომწოდებლებისგან	2,369	2,895
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	1,469	1,260
სხვა მოთხოვნები	9	11
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**3,847**	**4,166**
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	1,750	2,989
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,538	935
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**7,135**	**8,090**

მოთხოვნები მომსახურების მომწოდებლებისგან წარმოადგენს ფულადი სახსრების მოთხოვნას ფულადი სახსრების ოპერატორებისგან სამი დღის ვადაში. ჯგუფის მიერ განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მთლიანი თანხა გადაწყდა, რომ იყო ნულის ტოლი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მომსახურების მომწოდებლების უმეტესობისგან მიღებული ფულადი სახსრები მიღებულია ფულადი სახსრების ოპერატორებისთვის საკომისიო გადახდების გარეშე.

11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე ან ნაკლებია და რომლებიც ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები კორპორაციულ საბანკო ანგარიშებზე	11,507	4,641
მოთხოვნამდე ვადიანი დეპოზიტები	6,306	4,723
ფულადი სახსრები სალაროში	61	10
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**17,874**	**9,374**

ჯგუფის მიმდინარე ანგარიშებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 5-8%-დან 2-3%-მდე ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაზე, შესაბამისად.

ვადიანი დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი 8,5 - 10% და 2 - 3% ფარგლებშია ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად. მთლიანი საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებიდან და ვადიანი დეპოზიტებიდან შეადგენს 1,271 ათას ლარს (2023: 1,422 ათასი ლარი) და წარმოდგენილია წმინდა ფინანსურ შემოსავალში, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ვადიანი დეპოზიტების თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, ხელზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთების გამოკლებით, განთავსებული იყო კომერციულ ბანკებში, რომლებსაც საკრედიტო რისკის ხარისხების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდათ BB და B+ რეიტინგები, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით BB- და B+ რეიტინგები, და არ იყო ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული. ჯგუფის საკრედიტო რისკის შეფასების სისტემის აღწერისთვის იხილეთ შენიშვნა 24.

12 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის სადამფუძნებლო წესდებით. კომპანიის სადამფუძნებლო წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარებულია საწესდებო კაპიტალად კომპანიის საკუთარ კაპიტალში იმ მოცულობით, რამდენადაც იგი გადახდილია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა სრულად შეტანილი საწესდებო კაპიტალი 83 ათასი ლარის ოდენობით (2023: 83 ათასი ლარი). აქციონერთა 2022 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის საწესდებო კაპიტალი 8,506 ათასი ლარით შემცირდა შპს ნევაფლეისთვის გაცემული სესხის ნაშთის ურთიერთგადაფარვის საშუალებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ 27-ე განმარტებით შენიშვნაში. ჯგუფის კანონით გათვალისწინებული სააღრიცხვო ანგარიშგებები არის მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველი.

2024 წლის განმავლობაში გამოცხადებული და აქციონერისთვის გადახდილი იყო 8,150 ათასი ევრო (24,022 ათასი ლარი) (2023 წელი: 16,350 ათასი ევრო (46,697 თასი ლარი)). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ანაწილებს მოგებას დივიდენდების სახით ფასს-ის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. საქართველოს კანონმდებლობა განაწილების საფუძვლად განსაზღვრავს გაუნაწილებელ მოგებას.

ვალუტის კონვერტაციის რეზერვი. 2024 წელს, ინვესტიციის მიმღები საწარმოს გაყიდვის შემდეგ (შენიშვნა 20), ვალუტის კონვერტაციის რეზერვის მთლიანი ნაშთი 1,056 ათასი ლარის ოდენობით რეკლასიფიცირდა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, შვილობილ საწარმოში ინვესტიციის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის კატეგორიაში. შედეგად, ვალუტის კონვერტაციის რეზერვი ნულამდე შემცირდა.

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებელთა ნაშთები	4,196	2,788
სავაჭრო ვალდებულებები მომსახურების მომწოდებლების მიმართ	2,885	2,601
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	1,448	676
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	97	12
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	**8,626**	**6,077**
საგადასახადო ვალდებულებები	3,911	2,821
დარიცხული ხარჯი	790	2,037
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**13,327**	**10,935**

მომხმარებელთა ნაშთები მოიცავს მომხმარებლების მიერ დეპონირებულ თანხებს ან მომხმარებლის არ-გატანილ მოგებას. ეს თანხები მომხმარებლებს ერიცხებათ მოთხოვნისთანავე.

ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ მოიცავს გადასახდელ თანხებს თამაშის მომწოდებელ დაკავშირებულ მხარე კომპანიისთვის. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 7.

როგორც წესი, ჯგუფი ფარავს ვალდებულებებს თამაშების პროვაიდერების მიმართ ინვოისის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

14 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებების ანალიზს და ჯგუფის საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებების მოძრაობას თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები არის ის, რაც ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულია, როგორც საფინანსო:

ათასი ლარი	საოჯახო ვალდებულებები	ნასესხები სახსრები
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2023 წლის 1 იანვარს	**6,312**	**10,823**
ფულადი ნაკადები		
ძირი თანხის დაფარვა	(1,838)	-
საპროცენტო გადახდები	(378)	-
არა-ფულადი ცვლილებები		
დამატებები	258	-
დარიცხული პროცენტი	378	612
საოჯახო ხელშეკრულებების აღიარების შეწყვეტა	(365)	-
მოდიფიკაცია	(2,327)	-
სავალუტო კორექტირებები	(72)	326
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2023 წლის 31 დეკემბერს	**1,968**	**11,761**
ფულადი ნაკადები		
ძირი თანხის დაფარვა	(2,947)	-
საპროცენტო გადახდები	(587)	-
არა-ფულადი ცვლილებები		
დამატებები	11,172	-
დარიცხული პროცენტი	587	484
საოჯახო ხელშეკრულებების აღიარების შეწყვეტა	(998)	-
ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა*	-	(12,423)
სავალუტო კორექტირებები	498	178
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2024 წლის 31 დეკემბერს	**9,693**	**-**

*2024 წლის განმავლობაში, ნასესხებ თანხას 12,423 ათასი ლარის ოდენობით შეუწყდა აღიარება ნევაფლეის გაყიდვის შემდეგ (შენიშვნა 7).

15 შემოსავალი

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. შემოსავალი აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

შემოსავალი აღიარდება დღგ-ს გარეშე.

შემოსავალი ონლაინ კაზინოს თამაშებიდან. ონლაინ კაზინოდან შემოსავალი წარმოდგენილია კლიენტების მიერ დადებულ ფსონებსა და მოგებულ თანხებს შორის სხვაობით, რომელიც დაკორექტირებულია მოთამაშის მოგების, ბონუსებისა და ჯეკპოტის შენატანების გამოკლებით.

შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორის აქტივობებიდან. ჯგუფი ძირითადად სთავაზობს კოეფიციენტებს და იღებს ფსონებს სპორტის ფართო არჩევანზე. ასეთ ტრანზაქციებში ჯგუფი იკავებს ღია პოზიციას მოთამაშის წინააღმდეგ და აღრიცხავს წმინდა შემოსავალს მოთამაშის მოგებისა და ბონუსების გამოკლების შემდეგ.

შემოსავალი თანაბარუფლებიანი (P2P) ონლაინ თამაშებიდან. სხვა შემოსავალი ძირითადად მოიცავს შემოსავალს თანაბარუფლებიანი (P2P) თამაშებიდან და აღიარებულია, როგორც საკომისიო ფსონიდან მოთამაშის მიერ ფსონის დადების მომენტში. ფსონების საკომისიო არ არის დამოკიდებული თამაშის შედეგზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, ლატარიით და სხვა აზარტული თამაშებით მომსახურების მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-სგან გამოქვითვის უფლების გარეშე. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს არ გამოიყენოს დღგ-დან გათავისუფლება გამოქვითვის უფლების გარეშე დასაბეგრ ოპერაციასთან დაკავშირებით, რაც ნიშნავს, რომ დასაბეგრი ოპერაცია დაირიცხება დღგ-ით და გამოქვითვა მიღებული იქნება. 2015 წლის 31 დეკემბრიდან ხელმძღვანელობა ჯგუფის საგადასახადო ნაშთებს წმინდა საფუძველზე წარმოადგენს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის 407 ბრძანების საფუძველზე, გარდა სალიცენზიო მოსაკრებლებისა, რომლებიც წარმოდგენილია წინასწარ გადახდილი გადასახადების სახით სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

ათასი ლარი	**2024**	**2023**
შემოსავალი ონლაინ კაზინოს თამაშებიდან	116,899	115,966
შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორის აქტივობებიდან	41,156	40,249
შემოსავალი თანაბარუფლებიანი თამაშებიდან	3,229	3,339
სხვა შემოსავალი	5,510	5,275
სულ შემოსავალი	**166,794**	**164,829**

შემოსავლის აღიარების დრო თითოეული შემოსავლის ნაკადისთვის არის დროის გარკვეულ მომენტში.

16 თამაშთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები

მომსახურების ხარჯები. მომსახურების ხარჯები ეხება თამაშების მომწოდებლებისთვის სათამაშო ოპერაციებში გაწეულ ხარჯებს ლიცენზირების გადასახადებისთვის, აფილირებული კომპანიების საკომისიოს, საბანკო და საკრედიტო ბარათების მეშვეობით გადახდის მომსახურების ხარჯებს დეპონირებულ ფსონებზე და მოგებულ თანხებზე და პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯების გადახდას.

ათასი ლარი	**2024**	**2023**
თამაშების მომწოდებლების ლიცენზიების საფასური	22,666	21,830
საკომისიო გადახდის სისტემების მომწოდებლებისთვის	18,379	18,338
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯები	4,043	3,042
სულ თამაშთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯი	**45,088**	**43,210**

17 სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	**2024**	**2023**
ფიქსირებული სათამაშო გადასახადები და მოსაკრებლები	4,330	3,755
ოფისის ხარჯები	1,794	1,274
მარეგულირებელი შესაბამისობის საფასური	1,160	1,079
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	628	594
საკონსულტაციო ხარჯები	577	753
რემონტის და მოვლა-შენახვის ხარჯები	261	369
მივლინების ხარჯები	202	245
ქირავნობის ხარჯები	149	62
სხვა ხარჯები	832	516
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**9,933**	**8,647**

სათამაშო გადასახადები და მოსაკრებლები მოიცავს აზარტული თამაშების ლიცენზიის საფასურს, რომლებიც დაწესებულია სახელმწიფო ორგანოების მიერ და გადასახადებს ლატარიის გათამაშებებისთვის, რომლებიც მიეკუთვნება ზოგად მარკეტინგულ კამპანიებს.

საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს 180 ათას ლარს (2023 : 165 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა მომსახურებისთვის დარიცხულ საფასურს, როგორც ეს განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

18 თამაშთან დაკავშირებული გადასახადები

თამაშებთან დაკავშირებული გადასახადების არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა: საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თამაშთან დაკავშირებული შემდეგი გადასახადები, რომლებიც შედის მოგების დაბეგვრის ფარგლებში, ანაცვლებს სტანდარტულ კორპორაციულ მოგების გადასახადს.

ონლაინ კაზინოს თამაშებზე სათამაშო გადასახადი გამოითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული 15%-იანი განაკვეთით (2023: 10%) მთლიანი სათამაშო შემოსავლის (GGR) საფუძველზე.

ონლაინ ტოტალიზატორის აქტივობებზე სათამაშო გადასახადი გამოითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული 7%-იანი განაკვეთით კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის აქტივობის ბრუნვის მიხედვით.

ათასი ლარი	2024	2023
სათამაშო გადასახადი კაზინოს თამაშებზე	27,121	17,877
სათამაშო გადასახადი ტოტალიზატორის აქტივობებზე	14,279	11,994
სულ სათამაშო გადასახადი	**41,400**	**29,871**

19 მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადი, 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე), გადასახდელია ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი დაბეგვრისგან გათავისუფლებულია 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების გამო (შენიშვნა 2) მოგების გადასახადი აღარ ეფუძნება ონლაინ კაზინოს მოგების განაწილებას და ამის ნაცვლად, ის ჩანაცვლებულია თამაშებთან დაკავშირებული გადასახადით (შენიშვნა 18).

ჯგუფის მიერ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლისთვის გაწეული მოგების გადასახადის ხარჯი 1,013 ათასი ლარის ოდენობით სრულად მიეკუთვნება აქციონერისთვის გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებს 2019-21 წლებში გამომუშავებულ მოგებასთან დაკავშირებით (შენიშვნა 12).

2024 წლის განმავლობაში მთლიანი განაწილებული დივიდენდები სრულად მიეკუთვნებოდა მოგებას, რომელიც წარმოქმნილია ონლაინ კაზინოდან და ონლაინ ტოტალიზატორის აქტივობებიდან 2023 და 2024 წლის განმავლობაში, რაც შესაბამისად დაიბეგრა თამაშებთან დაკავშირებული გადასახადებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

20 შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა

2024 წლის 3 ოქტომბერს ჯგუფმა გაასხვისა ნევაფლეის სააქციო კაპიტალის 100%. გასხვისებული აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე გასხვისების საზღაურის დეტალები შემდეგია:

ათასი ლარი	შენიშვნა	2024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		18
ნასესხები სახსრები	7,14	(12,423)
სხვა ვალდებულებები		(19)
შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები		**(12,424)**
გასხვისებული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება		**(12,424)**

ჯგუფმა შვილობილი საწარმოს გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობა 13,480 ათასი ლარის ოდენობით აღრიცხა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, შვილობილი საწარმოს გაყიდვით მიღებული შემოსულობის ნაწილში, 2024 წლის განმავლობაში.

ათასი ლარი	შენიშვნა	შვილობილი საწარმოს გასვლიდან მიღებული შემოსულობა
შვილობილი საწარმოს გასვლისთვის მიღებული საზღაური		-
გასხვისებული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება		12,424
უცხოურ ოპერაციაზე კუმულაციური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი, რომელიც სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში რეციკლირდა	12	1,056
შვილობილი საწარმოს გასვლისას მიღებული შემოსულობა		**13,480**

21 შეწყვეტილი ოპერაციები

შპს ნევაფლეის ოპერაციები, 2022 წლის 24 თებერვალს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მისი ლიკვიდაციის დამტკიცების შემდეგ, წარმოდგენილია, როგორც შეწყვეტილი ოპერაცია. შვილობილი საწარმოს დეკონსოლიდაცია დასრულდა 2024 წლის ოქტომბერში.

შეწყვეტილი ოპერაციების შედეგების ანალიზი ასეთია:

ათასი ლარი	2024	2023
ხარჯები	(662)	(898)
ზარალი დაბეგვრამდე შეწყვეტილი ოპერაციებიდან	**(662)**	**(898)**
შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	**(662)**	**(898)**

22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო და ჩვეულებრივი საქმიანობისას, შეიძლება მიღებულ იქნეს მოთხოვნები ჯგუფის წინააღმდეგ. საკუთარი შეფასებების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადგილი არ ექნება არსებით ზარალს მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც აღემატება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთებულ ანარიცხებს.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, როგორც მეტად სავარაუდო, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, საანგარიშგებო თარიღისთვის არ გამოვლენილა გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები.

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, ჯგუფის ოპერაციებსა და საქმიანობაზე მისი გამოყენებისას ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. შესაბამისად, ხელმძღვანელობის მიერ დაკავებული საგადასახადო პოზიციები და საგადასახადო პოზიციების დამადასტურებელი ფორმალური დოკუმენტაცია შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მიერ დადგეს გამოწვევების წინაშე. ფისკალური პერიოდები ღიაა ორგანოების მიერ გადასახადების განსახილველად სამი კალენდარული წლის განმავლობაში იმ წლამდე, რომელ წელსაც განხილვის გადაწყვეტილება იყო მიღებული. გარკვეულ პირობებში, განხილვა შეიძლება მოიცავდეს უფრო ხანგრძლივ პერიოდს. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ამჟამად თვლის, რომ მის მიერ მიღებული საგადასახადო პოზიციები და ინტერპრეტაციები შეიძლება შენარჩუნდეს, არსებობს რესურსების გადინების შესაძლო რისკი, თუ ასეთი საგადასახადო პოზიციები და ინტერპრეტაციები საგადასახადო ორგანოების მიერ დადგება გამოწვევის წინაშე. საკუთარი შეფასებების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამგვარ გამოწვევებთან დაკავშირებით, ადგილი არ ექნება რაიმე არსებით ზარალს.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია სპეციფიური თვისებები. ეს კანონმდებლობა განაპირობებს დამატებითი საგადასახადო შეფასების შესაძლებლობას კონტროლირებული ოპერაციებისათვის (ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის და გარკვეული ოპერაციები დაუკავშირებელ მხარეებთან), თუ მსგავსი ოპერაციები არ ხორციელდება „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით". ხელმძღვანელობამ დანერგა შიდა კონტროლი, რომელიც შესაბამისობაშია სატრანსფერო ფასების კანონმდებლობასთან.

კონტროლირებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება, მათი ფაქტობრივი გარიგების ფასების საფუძველზე. შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციების განვითარებით მსგავსი სატრანსფერო ფასების გამოწვევის წინაშე დაყენება. ნებისმიერი მსგავსი გამოწვევის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; თუმცა, შეიძლება იგი მნიშვნელოვანი იყოს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის და/ან ოპერაციებისათვის. ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასება სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკისთვის არ არის არსებითი.

22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე. 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც ზრდის სათამაშო ინდუსტრიისთვის სათამაშო გადასახადის განაკვეთს 5%-დან 7%-მდე ტოტალიზატორების პროდუქტზე დადებული ფსონებისთვის, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, გადასახადის განაკვეთის ნებისმიერი ზრდა (რაც იწვევს უფრო მაღალ საგადასახადო ტვირთს) საჭიროებს რეფერენდუმის ჩატარებას. ამ საფუძვლით, ჯგუფმა, 2019 წლის დეკემბერში საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სარჩელით 5%-მდე სათამაშო გადასახადის აღდგენის მოთხოვნით. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი 2020 წლის დეკემბერში სცნო და 2021 წლის ოქტომბერში 2 მოსმენა ჩაატარა. საბოლოო სასამართლო სხდომა გაიმართა 2023 წლის აპრილში და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯგუფი ელოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

23 ძირითადი შვილობილი საწარმოები

ჯგუფის წილები მის ძირითად შვილობილ საწარმოებში იყო შემდეგი (შენიშვნა 1):

	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
სახელი	ფლობილი საკუთრების წილის %	საქმიანობის ადგილი	ფლობილი საკუთრების წილის %	საქმიანობის ადგილი
შპს საქომაგო	100%	საქართველო	100%	საქართველო
შპს ვიპ ბეთი	100%	საქართველო	100%	საქართველო
შპს ნევაფლეი (შენიშვნა 1)	-	ბელარუსი	100%	ბელარუსი

24 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ასახულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის ქულების მინიჭების სისტემა. საკრედიტო რისკის შესაფასებლად და საკრედიტო რისკის დონის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ქულების მისანიჭებლად ჯგუფი იყენებს რისკის დონეზე დაფუძნებულ მიდგომას, რომლებიც შეფასებულია გარე, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (როგორიცაა Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) მიერ. შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები დაიტანება ადგილზე შედგენილ ძირითად შკალაზე, სადაც მითითებულია დეფოლტის ალბათობის ინტერვალი, რაც ქვემოთ არის განმარტებული:

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის ქულების ძირითადი შკალა	გარე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (S&P) შესაბამისი რეიტინგი	დეფოლტის ალბათობის შესაბამისი ინტერვალი
საუკეთესო	AAA BB+-სკენ	0.01% - 0.1%
კარგი	BB B+-სკენ	0.11% - 0.5%
დამაკმაყოფილებელი	B, B-	0.51% - 10%
სპეციალური მონიტორინგი	CCC+ დან CC- -სკენ	10% - 99,9%
დეფოლტი	C, D-I, D-II	100%

საკრედიტო რისკის ქულების ძირითადი შკალის ქულები ენიჭება კრედიტუნარიანობის კონკრეტულ ხარისხს:

- *საუკეთესო* – მაღალი საკრედიტო ხარისხი, დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *კარგი* – სათანადო საკრედიტო ხარისხი, საშუალო მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *დამაკმაყოფილებელი* – საშუალო საკრედიტო ხარისხი, დამაკმაყოფილებელი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *სპეციალური მონიტორინგი* – საჭიროებს მჭიდრო მონიტორინგსა და გამოსწორებით მენეჯმენტს; და
- *დეფოლტი* – ადგილი ჰქონდა დეფოლტს.

გარე რეიტინგები პარტნიორებს ენიჭებათ დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ, როგორიცაა მაგალითად S&P, Moody's და Fitch. ეს რეიტინგები საჯაროდ ხელმისაწვდომია. მსგავსი რეიტინგები და შესაბამისი დეფოლტის ალბათობის ინტერვალები გამოიყენება კორპორაციულ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებსა და ვადიან დეპოზიტებზე (შენიშვნა 11).

საბაზრო რისკი. ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ვალუტის ღია პოზიციებიდან, რომლებიც ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო მოძრაობებს. ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს ისეთი რისკის ღირებულების შესახებ, რომელიც შეიძლება მიღებული იყოს, და რის მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება ვერ ახდენს ზარალის პრევენციას, ლიმიტების მიღმა ბაზრის უფრო მნიშვნელოვანი მოძრაობების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებით ხელმძღვანელობა ვალუტების მიხედვით ადგენს რისკის ზღვრულ დონეს, როგორც ერთდღიანი, ისე დღიური პოზიციებისათვის, რისი მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
ათასი ლარი	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
ქართული ლარი	16,020	(6,650)	9,370	11,886	(4,734)	7,152
აშშ დოლარი	174	(65)	109	102	(128)	(26)
ევრო	5,527	(1,911)	3,616	1,552	(1,215)	337
ხულ	**21,721**	**(8,626)**	**13,095**	**13,540**	**(6,077)**	**7,463**

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი, ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები უცვლელი რჩება:

	2024	2023
ათასი ლარი	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	22	(5)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(22)	5
ევროს გამყარება 20%-ით	723	67
ევროს გაუფასურება 20%-ით	(723)	(67)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს და ზღვრებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო გადაფასების შეუსაბამობის დონეზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია, უფრო ადრინდელის, საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო გადაფასების ან დაფარვის ვადების მიხედვით:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე	1 -დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
2024 წ. 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	21,721	-	-	-	**21,721**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(5,625)	(838)	(4,506)	(7,350)	**(18,319)**
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2024 წ. 31 დეკემბერს	**16,096**	**(838)**	**(4,506)**	**(7,350)**	**3,402**
2023 წ. 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	13,540	-	-	-	**13,540**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,729)	(1,204)	(14,080)	(793)	**(19,806)**
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2023 წ. 31 დეკემბერს	**9,811**	**(1,204)**	**(14,080)**	**(793)**	**(6,266)**

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკის დროს საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. ჯგუფი ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე მიმდინარე ანგარიშებიდან და დაფარვის ვადიანი დეპოზიტებიდან. ამგვარი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ჯგუფი ინარჩუნებს ფულადი სახსრების რესურსებს, რომლებიც გამოთვლილია წარსულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. ლიკვიდობის რისკი იმართება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ, ჯგუფის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზების მონიტორინგის განხორციელებით.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც, ძირითადად, მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ჯგუფის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 11). ხელმძღვანელობა აფასებს, რომ ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულად სახსრებს და საბანკო დეპოზიტებს, შეიძლება რეალიზებულ იქნეს ფულად სახსრებად ერთი დღის განმავლობაში, ლიკვიდობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის მთლიანი ფინანსური იჯარის ვალდებულებებს (სამომავლო ფინანსური ხარჯების გამოქვითვამდე). მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ფინანსური წარმოებულები ასახულია საკონტრაქტო თანხებით, რომლებიც გადახდილ ან მიღებულ უნდა იქნეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი მოელის წარმოებულის პოზიციის დახურვას მისი დაფარვის ვადის დადგომამდე, რა შემთხვევაშიც, წარმოებულები აისახება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე. დაფარვის ვადის ანალიზის მიზნებისათვის ჩართული წარმოებულები განცალკევებული არ არის ჰიბრიდული (კომბინირებული) ფინანსური ინსტრუმენტებისაგან.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 9)	-	(741)	(2,224)	(8,104)	(11,069)
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	(5,625)	(97)	(2,904)	-	(8,626)
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**(5,625)**	**(838)**	**(5,128)**	**(8,104)**	**(19,695)**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 9)	-	(516)	(749)	(835)	(2,100)
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 7)	-	-	(11,761)	-	(11,761)
სავაჭრო ვალდებულებები(შენიშვნა 13)	(4,405)	(12)	(1,660)	-	(6,077)
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**(4,405)**	**(528)**	**(14,170)**	**(835)**	**(19,938)**

25 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გარდა ფულადი სახსრებისა ხელზე), სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონის სამართლიანი ღირებულებები.

სამართლიანი ღირებულებები იერარქიის მე-2 დონეზე შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკის გამოყენებით. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლების მიღება მოსალოდნელია მსგავსი საკრედიტო რისკების და დარჩენილი დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის.

26 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. ჯგუფი მთლიან სამართავ კაპიტალს განიხილავს, როგორც საკუთარ კაპიტალს, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის, ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 20,855 ათას ლარს და 6,814 ათას ლარს, შესაბამისად. ჯგუფს არ გააჩნია გარედან დაწესებული რაიმე სახის შეთანხმებული პირობები.

27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გადასახადების ზრდა. 2024 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა მთლიან სათამაშო შემოსავალზე (GGR) ონლაინ კაზინოს თამაშების გადასახადის 15%-დან 20%-მდე გაზრდის ინიციატივა, რომელიც ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრიდან.

დივიდენდები. აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიამ 2025 წელს გამოაცხადა და გადაიხადა 2,500 ათასი ევროს ოდენობის დივიდენდი (7,550 ათასი ლარი).

ბრენდის სახელის ცვლილება. 2025 წლის მაისში კომპანიამ შეცვალა თავისი ბრენდის სახელი ევროპაბეთიდან Betsson Georgia-ზე. ეს რებრენდინგი კომპანიას უფრო მჭიდროდ აკავშირებს მის მშობელ კომპანიასთან, Betsson Perch Investments AB-სთან და ასახავს მის ინტეგრაციას Betsson Group-ის უფრო ფართო შემადგენლობაში. რებრენდინგის ფარგლებში, კომპანიამ ასევე შეცვალა თავისი დომენის სახელი www.europebet.com -დან www.ge.betsson.com -ზე.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250785523
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.06.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**სალომე სალუქვაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	55848306238025

ორიათას ოცდახუთი წლის ოცდახუთ ივნისს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - ჯგუფი ევროპაბეთი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2024 წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 117.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსისი 166-ე მუხლის თაანხმად 21.06 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 143.06ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციას (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს ევროპაბეთი

კონსოლიდირებული და განცალკევებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ 3

1.1 ორგანიზაცია 3

1.2 მფლობელები 3

2. კომპანიის საქმიანობა 3

2.1 ძირითადი საქმიანობა 3

2.2 კომპანიის სამომავლო მიზნები 4

2.3 ბაზრის მიმოხილვა 4

3. საკანონმდებლო მოთხოვნები 4

3.1 ლიცენზიები 4

3.2 სახელმწიფო გადასახადები 5

4. ფინანსური მაჩვენებლები 7

5. არაფინანსური მაჩვენებლები 8

5.1 პასუხისმგებლიანი თამაში 8

5.2 კომპანიის თანამშრომლები 8

6. კომპანიის ძირითადი რისკები 8

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

შპს „ევროპაბეთი“ (შემდგომში „კომპანია“), დაფუძნდა 2009 წლის 18 ნოემბერს, „მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად“. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 240420647. 2024 წლის პირველ თებერვალს შპს „ჩემპიონები 111“-ს გადაერქვა სახელი და ეწოდა შპს „ევროპაბეთი“.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი 2.

კომპანიის შვილობილებია (შემდგომში „ჯგუფი“):

	წილი შვილობილ კომპანიაში	საქმიანობის ქვეყანა
შპს საქომაგო*	100%	საქართველო
შპს ვიპ ბეთი	100%	საქართველო

* 2024 წლის თებერვალში შპს „ევროპაბეთს“ გადაერქვა სახელი და ეწოდა შპს „ევროპაბეთი ბათუმი“. 2024 წლის აპრილში შპს „ევროპაბეთ ბათუმს“ შეერწყა შპს „ევროპაბეთ გორი“, შპს „ევროპაბეთ რუსთავი“ და შპს „ევროპაბეთ საქომაგო“. 2024 წლის აპრილში შპს „ევროპაბეთ ბათუმს“ გადაერქვა სახელი და ეწოდა შპს „ევროპაბეთი საქომაგო“. 2024 წლის აგვისტოში შპს „ევროპაბეთი საქომაგოს“ სახელი შეიცვალა და ეწოდა შპს „საქომაგო“.

** 2019 წლის 31 ოქტომბერს კომპანიამ შეიძინა შპს ნევაფლეის 100%-იანი წილი, ბელარუსში აზარტული თამაშების ბაზარზე შესვლის მიზნით. 2022 წლის 24 თებერვალს, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო შპს ნევაფლეის ლიკვიდიაციის გადაწყვეტილება. 2022 წლის პირველ კვარტალში შპს ნევაფლეიმ შეწყვიტა ოპერაციები აზარტული თამაშებიდან, შეუჩერდა სათამაშო ბიზნესის ნებართვა და 2022 წლის მარტში ჩვეულებრივი დაბეგრვის რეჟიმში მოექცა. 2024 წლის 3 ოქტომბერს შპს ნევაფლეის სრული წილი გაიყიდა მესამე მხარეზე.

1.2 მფლობელები

2024 წლის მდგომარეობით კომპანიას მთლიანად ფლობს Betsson Perch Investments AB კონტროლირებადი ჰოლდინგური კომპანიის Betsson AB-ს მიერ, რომელიც ინვესტიციას დებს ონლაინ სათამაშო ინდუსტრიის სწრაფად მზარდ კომპანიებში.

2. კომპანიის საქმიანობა

2.1 ძირითადი საქმიანობა

დაარსების დღიდან კომპანია გახდა ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია ბაზარზე ბუკმეიკინგისა და ონლაინ თამაშების სფეროში. კომპანია მომხმარებელს სერვის აწვდის ვებ-

გვერდის www.europebet.com-ის საშუალებით (2025 წლის 15 მაისიდან შეიცვალა კომპანიის დომეინი რებრენდინგთან ერთად და გახდა www.ge.betsson.com). ზემოაღნიშნული ონლაინ პლატფორმის გარდა, კომპანიას აქვს ფიზიკური სლოტ კლუბი და ტოტალიზატორი, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.წყალტუბო, თამარ მეფის ქ. N 2, შენობა-ნაგებობა N 2, პირველი სართული, ფართი N 1, დარბაზი N 1.

ევროპაბეთი მომხმარებელს სთავაზობს პროდუქტების ფართო სპექტრს, როგორებიცაა: ბუკმეიკინგი; ონლაინ კაზინო; პოკერი; სლოტ თამაშები; სამაგიდო თამაშები - ნარდი, დომინო და ბურა.

2.2 კომპანიის სამომავლო მიზნები

კომპანიის მიზანია შენარჩუნდეს როგორც კლიენტზე ორიენტირებული კომპანია, რომელიც გააგრძელებს ზრდას და განვითარებას უწყვეტ რეჟიმში. კომპანიის სტრატეგიული მიზანია მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის ინოვაციური მომსახურების და პროდუქტების შეთავაზება.

2.3 ბაზრის მიმოხილვა

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში, რომელიც როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება მაღალი ინფლაციითა და საპროცენტო განაკვეთით.

აზარტული თამაშების ბიზნესი საქართველოში საკმაოდ კარგადაა განვითარებული, რაც განაპირობებს მაღალ კონკურენციას. 2024 წლის განმავლობაში ბაზარზე წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი მსხვილი ოპერატორები:

- აჭარაბეთი;
- კრისტალბეთი;
- კროკობეთი;
- ბეთლაივი;
- ლიდერ-ბეთი.

3. საკანონმდებლო მოთხოვნები

3.1 ლიცენზიები

სათამაშოების ბიზნესის სფეროში მოღვაწე კომპანიებს ევალებათ შესაბამისი ნებართვის აღება საქართველოში საქმიანობისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ ნებართვებს:

ნებართვის სახე	ნებართვის ნომერი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	მისამართი
წამახალისებელი გათამაშების მოწყობა	19-03/537	04-06-2024	03-06-2025	ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N29, მე-5 სართული

სამორინეს მოწყობა	19-04/89	05-12-2023	04-12-2028	ქ.წყალტუბო, თამარ მეფის ქ. N 2, შენობა-ნაგებობა N 2, პირველი სართული, ფართი N 1, დარბაზი N 1.
ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვა	19-05/382	20-09-2023	19-09-2028	ქ.წყალტუბო, თამარ მეფის ქ. N 2, შენობა-ნაგებობა N 2, პირველი სართული, ფართი N 1, დარბაზი N 1.
სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვა	19-06/332	14-09-2023	13-09-2028	ქ.წყალტუბო, თამარ მეფის ქ. N 2, შენობა-ნაგებობა N 2, პირველი სართული, ფართი N 1, დარბაზი N 1.
სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზება	19-11/003	26-06-2024	25-06-2029	ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N29, მე-5 სართული
სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზება	19-10/002	25-06-2024	04-12-2028	ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N29, მე-5 სართული
სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზება	19-12/004	25-06-2024	19-09-2028	ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N29, მე-5 სართული

3.2 სახელმწიფო გადასახადები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიას ეკისრება შემდეგი ტიპის გადასახადები:

მოგების გადასახადი:

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიებმა (გარდა ბანკების, საკრედიტო კვშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების) არ უნდა გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი 2017 წლის 1-ელ იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ იქნება განაწილებული ან არ მიიჩნევა განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთად განისაზღვრა 15%, რომლის დასაბეგრი ბაზა გამოიანგარიშება განაწილებული მოგების/დასაბეგრი კორექტირებების/გაწეული ხარჯის 0.85-ზე გაყოფით.

მოგების გადასახადი - GGR-ის 15%:
2022 წლის პირველი იანვრიდან აზარტული თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია ფსონების სახით მიღებულ თანხასა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობის (GGR) 10%. ასევე, პირი ვალდებულია შეასრულოს აგენტის ვალდებულება და საშემოსავლო გადასახადის 2%-იანი განაკვეთით დაბეგროს მოთამაშის მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა.

2023 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ მიიღო გადასახადის განაკვეთის გაზრდის გადაწყვეტილება სათამაშო ბიზნესისთვის. შედეგად 2024 წლის პირველი იანვრიდან გაიზარდა მოგების გადასახადის განაკვეთი 10%-დან 15%-მდე, მომხმარებლების მიერ თანხის გატანა კი საშემოსავლო გადასახადის 2%-იანი განაკვეთის ნაცვლად 5%-ით დაიბეგრება.

2025 წლის პირველი იანვრიდან მოგების გადასახადის განაკვეთი GGR-ის 15%-დან გაიზარდა 20%-მდე.

ონლაინ ტოტალიზატორის ფსონების გადასახადი:
გარდა მოგების გადასახადით ჩვეულებრივი წესით დასაბეგრი ოპერაციებისა, კომპანიას გააჩნია სპეციალური წესით დასაბეგრი და გადასახადისაგან გათავისუფლებული ოპერაციები.

სპეციალური წესით იბეგრება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობიდან მიღებული შემოსავლები საქართველოს საგადასახადო კოდესისს 309-ე მუხლის მე-16 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ: „ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით. ამ შემთხვევაში პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს დეკლარაცია და იმავე ვადაში გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი“. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტით მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა მათ მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა) განაწილება.

საშემოსავლო გადასახადი:
კომპანიას აქვს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემდეგი ოპერაციები:

- ხელფასის სახით გაცემული ანაზღაურება;
- ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირების მომსახურების ანაზღაურება;
- მომხმარებლებზე გაცემული პრიზები და სარგებლები.

ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციებისთვის გადასახადის განაკვეთია 20%.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ):
საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, მომსახურების მიწოდება ლატარიით, აზარტული თამაშებით და სხვა აზარტული თამაშები გათავისუფლებულია დღგ-სგან გამოქვითვის უფლების გარეშე. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს არ გამოიყენოს დღგ-ისგან გათავისუფლება, რაც ნიშნავს, რომ დასაბეგრ ოპერაციას დაერიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადი და მიიღება გამოქვითვა.

ქონების გადასახადი:
ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღიარებული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და სხვა. ქონების გადასახადის სახით კომპანია იხდის ზემოაღნიშნული ქონების სახეობების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან არაუმეტეს 1%-ს.

საპენსიო ანარიცხები:
2019 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია ხელფასის გაცემისას საპენსიო სქემაში მონაწილე დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განახორციელოს შენატანი დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით. ასევე, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის სახელით გადარიცხოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დამატებით 2%.

დამატებითი რეგულაციები:

2022 წლის 1-ლი მარტიდან ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ დამტკიცებული აზარტული თამაშების შემდეგი რეგულაციები:

- აზარტული თამაშების მომწყობებს შეეზღუდათ რეკლამირების საშუალებები;
- 25 წლამდე საქართველოს მოქალაქეებს აეკრძალათ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა;
- გაიზარდა იმ პირთა ცენტრალური სია, ვისაც ეკრძალება აზარტული თამაშები;
- აზარტული თამაშების ორგანიზატორებს მოეთხოვებათ მომხმარებლების ყოველწლიური ვერიფიკაცია;
- ქართული გადახდის მომსახურების პროვაიდერები ვალდებულები არიან რეზიდენტ ფიზიკურ პირებს შეუზღუდონ უცხოური სათამაშო ბიზნესების სასარგებლოდ ბარათით განხორციელებული ინტერნეტ გადახდები.

4. ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ფინანსური უწყისები შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნებით დეტალურადაა განხილული აუდირებულ ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები:

ათას ლარში	2024
შემოსავალი	166,794
მოგება/(ზარალი) პერიოდის განმავლობაში	39,119

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ძირითადი განცალკევებული ფინანსური მაჩვენებლები:

ათას ლარში	2024
შემოსავალი	166,794
მოგება/(ზარალი) პერიოდის განმავლობაში	26,472

5. არაფინანსური მაჩვენებლები

5.1 პასუხისმგებლიანი თამაში

კომპანია იზიარებს, რომ აზარტული თამაშები არ არის სრულიად ურისკო. მიუხედავად იმისა, რომ „ევროპაბეთის“ მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა თამაშს მიიჩნევს ყოველდღიური გართობის საშუალებად, არსებობს მოთამაშეთა მცირე რაოდენობა, ვისთვისაც აზარტული თამაში პრობლემური ხდება. ამ პასუხისმგელობის გააზრებით, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების წინააღმდეგ ევროპაბეთი იყენებს პასუხისმგებლიანი თამაშის პოლიტიკას, ემსახურება საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას და პასუხისმგებლიანი თამაშის პოპულარიზაციას. მოთამაშეთა კეთილდღეობისთვის შეიქმნა ხელსაწყოები, რომლებიც მათ პასუხისმგებლობით თამაშში ეხმარება.

5.2 კომპანიის თანამშრომლები

კომპანიის მიერ დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წელს შეადგენდა 249 ადამიანს.

კომპანია, როგორც დამსაქმებელი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს თანაბარ შესაძლებლობებს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკიმინაციას. გენდერული, სოციალური და ეთნიკური მრავალფეროვნება, სხვა ფაქტორებთან ერთად მხედველობაში მიიღება, როდესაც საქმე ეხება ახალი თანამშრომლის აყვანას.

6. კომპანიის ძირითადი რისკები

კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით უზრუნველყოს იდენტიფიცირებული რისკების მინიმიზაცია.

კომპანიისა საქმიანობიდან გამომდინარე შპს „ევროპაბეთის“-ის წინაშეა შემდეგი რისკები:

- **საკრედიტო რისკი**

ჯგუფის ფინანსური აქტივების სიდიდან გამომდინარე , არსებობს რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ამ რისკის მინიმიზაციისთვის, ჯგუფი იყენებს საერთაშორისო სააგენტოების რისკის საფეხურებს (Standard & Poor's – "S&P", Fitch, Moody's) , რომელიც მორგებულია კომპანიაზე.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი ჩნდება ვალუტაში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის მოძრაობას. მენეჯმენტი აწესებს საბაზრო რისკის ლიმიტებს, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება.

- **სავალუტო რისკი**

ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია სავალუტო რისკი, რომელიც წარმოშობილია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული შესყიდვებით.

სავალუტო რისკის მინიმიზაციისთვის მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს უცხოური ვალუტის პოზიციებისთვის, რომელსაც ყოველდღიურად აკონტროლებს.

- **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეიძლება შეექმნას პრობლემები მომხმარებლებისა და სერვისის პროვაიდერების მიმართ ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში.

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისთვის ჯგუფი ინარჩუნებს ფულად რესურსებს, რათა დროულად შეძლოს ვალდებულებების დაფარვა გადაანგარიშებული წარსული გამოცდილებისა და მომავლის მოლოდინებზე დაყრდნობით. რისკის კონტროლისთვის მენეჯმენტი სისტემატიურად ატარებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზის მონიტორინგს.

- **სხვა რისკები**

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. ომის შედეგად მილიონობით ადამიანმა დატოვა საკუთარი სახლი და ქვეყანა, რამაც ევროპაში ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს დაუწესა სანქციები. შედეგად, რუსული ვალუტა საგრძნობლად გაუფასურდა სხვა ვალუტებთან მიმართებაში. დაეცა რუსეთში ფასიანი ქაღალდების ღირებულება. იგივე შეეხო სხვა ბაზრებზე რეგისტრირებულ რუსული კომპანიების ფასიან ქაღალდებსაც. უამრავმა კომპანიამ დატოვა რუსული ბაზარი. სიტუაცია ჯერ კიდევ არასტაბილური და ცვალებადია, თუმცა მომხდარმა მოვლენებმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში. ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, კომპანიის მენეჯმენტი კი ითვალისწინებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კომპანიის გენერალური დირექტორი

მაია კოპინაძე

2025 წლის 12 ივნისი